საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№134 (6360) 6 ნოემბერი 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი შორს როდია

რაიონული საბჭოს აღმასკომში

II გვ.

ჩვენი დემოგრაფიული პორტრეტი

III გვ.

ერიდეთ ამბროზიას!

IV გვ.

შეჯამებულია არჩევნების შედეგები

2 ნოემბერს თბილისში, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილ საერთაშორისო პრესცენტრში გაიმართა დასკვნითი პრესკონფერენცია. ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანია, რომელმაც ილაპარაკა გასულ კვირას გამართული არჩევნების ძირითად დაზუსტებულ შედეგებზე.

შედეგები ასეთია: 3.444.002 საერთო რაოდენობის ამომრჩეველთაგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.406.742 კაცმა. დარიგდა ამდენივე საარჩევნო ბიულეტენი, რომელთაგან ძალამოსილი აღმოჩნდა 2.311.921.

არჩევნებში პროპორციული სისტემის მიხედვით მონაწილე თერთმეტი პოლიტიკური პარტიიდან და ბლოკიდან ყველაზე მეტი ხმები დააგროვა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ბლოკმა. ამ ბლოკში შემავალ პარტიებსა და ორგანიზაციებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 53,95 პროცენტმა, რამაც მათ მოუპოვა 81 ადგილი პარლამენტში, ხოლო საქართველოს კომპარტიას—25,57 პროცენტმა. ეს 44 დეპუტატის მანდატია. ვერც ერთმა სხვა პარტიამ თუ ბლოკმა ვერ დააგროვა ხმების ოთხი პროცენტი — მინიმუმი, რომელიც მათ უფლებას მისცემდა წარეგზავნათ პარლამენტში თავიანთი წარმომადგენლები პარტიული სიებიდან.

რაც შეეხება კანდიდატებს, რომლებიც პერსონალურად იყრიდნენ კენჭს, დეპუტატები არჩეულია 125-დან ჯერჯერობით მხოლოდ 57 საარჩევნო ოლქში. აქაც ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენელთა უპირატესობა, რომლებმაც 38 დეპუტატის მანდატი მოიპოვეს. კომპარტიის წევრებმა 17 მანდატი მიიღეს. დამოუკიდებელ კანდიდატთაგან დეპუტატებ გახდნენ ოთხნი, თითო მანდატი მიიღეს საქართველოს სახალხო ფრონტის, „დემოკრატიული საქართველოს“ და „განთავისუფლებისა და ეკონომიკური აღორძინების“ ბლოკებას წარმომადგენლებმა.

ამრიგად, განვლილი არჩევნების შედეგების მიხედვით საქართველოს ახალ უზენაეს საბჭოში „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ ბლოკს საერთო ანგარიშით უკვე აქვს 114 ადგილი, ხოლო კომპარტიას —61 . მთლიანად კი არჩეულია 182 დეპუტატი პარლამენტის მომავალ 250 წევრთაგან.

პრესკონფერენციაზე შეკრებილთ აცნობეს, რომ კვირას, 11 ნოემბერს, გაიმართება ხელახალი კენჭის ყრა იმ 59 საარჩევნო ოლქში, სადაც წარმოდგენილი იყო ორზე მეტი კანდიდატი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დააგროვა საჭირო ხმების ნახევარზე მეტი. ამავე დღეს არის დანიშნული არჩევნების მეორე ტური შვიდ საარჩევნო ოლქში, სადაც არ აღრიცხულა ამომრჩეველთა საჭირო რაოდენობა—მათი საერთო რიცხვის 50 პროცენტი. კიდევ ორ საარჩევნო ოლქში, სადაც არჩევნები საერთოდ არ გამართულა, ორი თვის შემდეგ მოეწყობა ახალი არჩევნები.

ი. ჟორდანიამ უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებს.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

კვირას, 11 ნოემბერს, ეწყობა ხელახალი კენჭისყრა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების იმ 60 საარჩევნო ოლქში, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ორზე მეტი კანდიდატი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ დააგროვა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი. ამავე დღეს დანიშნულია არჩევნების მეორე ტური 9 საარჩევნო ოლქში, რომლებშიც არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა.

ამის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც მთლიანად შეესაბამება არჩევნების კანონს, მიიღეს 1 ნოემბერს გამართულ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე. სხდომის გახსნისას, კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჟორდანიამ განაცხადა, რომ 28 ოქტომბერს გამართული არჩევნების საბოლოო შედეგებს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა გამოუშვებს, როგორც ჩანს, მხოლოდ საღამოს.

სხდომის დღის წესრიგის მეორე პუნქტი იყო ხელახალი კენჭისყრის და არჩევნების მეორე ტურის მოწყობის პროცედურასთან, საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშების დადგენასთან დაკავშირებული საკითხი. აღინიშნა, რომ ხელახალი კენჭისყრის დროს კენჭს იყრის ორი დეპუტატობის კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში მიიღეს ხმების მეტი რაოდენობა, ხოლო არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს მეტ ხმას. რაც შეეხება არჩევნების მეორე ტურის მოწყობას, მასში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ ტურში მონაწილე ყველა კანდიდატს. არჩევნები აქ ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ოლქის ამომრჩეველთა მეოთხედზე მეტი, ხოლო არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელმაც დააგროვა სხვებთან შედარებით მეტი ხმების რაოდენობა, მაგრამ არანაკლებ კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობის მეოთხედისა. თუ დეპუტატი არჩეული არ იქნება ან არჩევნები კვლავ ჩატარებულად არ ჩაითვალა, კანონის თანახმად ცენტრალური საარჩევნო კომისია დანიშნავს ხელახალ არჩევნებს, რომელიც მოეწყობა მეორე ტურის ჩატარებიდან ორი თვის ვადაში.

სხდომაზე განიხილეს ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოსული განცხადებები და საჩივრები. თითოეული მათგანის გამო მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება.

საინფორმაციო სააგენტო საქართველო.

სასურსათო კომბინატი: სამომავლო კონტურები

გასულ წლებში ბევრი საწუხარი და პრობლემა ჰქონდათ სასურსათო კომბინატის მშრომელებს. მისი წარმადობა იმდენად მცირე იყო, რომ ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. რაიონის მშრომელთა კარმიდამოსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში დაკრეფილი ხილი გადასამუშავებლად რაიონს გარეთ გადიოდა, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და საკონსერვო ქარხნებს ბარდებოდა და ეს არც თუ ისე იოლი შრომის ფასად უჯდებოდათ დამზადების გაერთიანების მუშაკებს, ხშირად კი ესეც ვერ ხერხდებოდა და ჩვენი მშრომელები ზარალდებოდნენ, შემოსავალი იკარგებოდა, მოწეული მოსავალი გამოუყენებელი რჩებოდა.

ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა, გაიზარდა კომბინატის წარმადობა, ასე დიდი რაოდენობისა და სხვადასხვა ასორტიმენტის სასურსათო პროდუქტები კომბინატს არასდროს გამოუშვია. ცაგერის სასურსათო კომბინატის დამლით წელს პირველად მიიღეს მომჟავებელი ტყემლის, შვინდისა და ქლიავის კომპოტებს. მოცვისა და მაყვლის მურაბებს—სულ გამოშვებული აქვთ კურკოვანი ხილის 194 ათასი პირობითი ქილა კომპოტი და 10 ათასი პირობითი ქილა მურაბა.

ახლა, შემოდგომის ამ დღეებში, როცა სეზონის დამთავრებამდე ორ თვემდე დარჩა, გაცხარებული შრომის სეზონია კომბინატში. ეზოში ვაშლით სავსე ავტომანქანები დგას, რიგრიგობით იწონება ხილი და მიმღებ ბუნკერში იყრება. აქედან გარეცხილ-გასუფთავებული გადასამუშავებლად მიაქვს კონვეიერს რომ მისგან მაღულარა წვენი მიიღონ, რასაც წელს პირველად ამზადებენ. სულ მიმდინარე წელს 1200 ტონაა დასამზადებელი, დღეისათვის უკვე დამზადებული აქვთ ხუთასი ტონა, აქვე, ცალკე საამქროში ვაშლის პიურე მზადდება ხილფაფის მისაღებად. გათვალისწინებულია 300 ტონა პიურეს დამზადება, საიდანაც ხილფაფები და ჯემები უნდა მიიღონ.

კომბინატის ძირითადი პროდუქცია მაინც მადულარა წვენის დამზადებაა, რაც 700 ტონა აქვთ დასამზადებელი. უკვე მწყობრშია ნედლი სპირტის სახდელი საამქრო და პირველი ნოემბრიდან აღნიშნული წვენისაგან დაიწყებენ სპირტის გამოხდას. სულ 5500 დეკალიტრი მშრალი სპირტი უნდა გაუგზავნონ მარნეულის ექსპერიმენტულ ქარხანას „თამარისის“ საკონიაკე მასალად. კომბინატის მიერ გამოშვებული ხილფაფები და ჯემები კი გაეგზავნება სამტრედიისა და ქუთაისის ცეკავშირის ბაზებს, ხოლო როგორც გვითხრეს, გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 5 პროცენტი ეგზავნება ცაგერის რაიკავშირს. (?!)

ასე, რომ პერსპექტივები არის და სასურსათო კომბინატის მომავალს იმედის თვალით უნდა შევხედოთ, მართალია, მშენებლობის საქმეშიც ბევრი რამ გამოსწორდა—ამოქმედდა საკონსერვო საამქრო, დაიდგა კომპოტებისა და მურაბების, ხილის სულფიდირებული პიურეს გადამმუშავებელი ახალი ხაზები, აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა ხილის სპირტის გამოსახდელ დანადგარებს, ეს რაც შეეხება დანადგარებს, მაგრამ თვით შენობა, სადაც დანადგარებია მოთავსებული, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამად მშენებლობის პროცესშია. სამუშაოები, რომელსაც წყალტუბოს №5 მოძრავ-მექანიზებული კოლონა (უფროსი ა. მაღლაკელიძე) აწარმოებს, ძალზე შეფერხებებით მიმდინარეობს. მართალია, სამშენებლო მასალები ახლა, ამ ეტაპზე, საერთო დეფიციტია, მაგრამ ეს დაკონსერვებული მშენებლობა ხომ სამი წელია მიმდინარეობს. ხშირია შემთხვევა, როცა თვეობით ცდებიან მშენებლები, მშენებლობის პროცესშია ასევე ლიმონათის ახალი საამქრო, რომლის ჩაბარება ოქტომბრის თვეში უნდა მომხდარიყო, მაგრამ აქაც იგივეა გაჭიანურების მიზეზი და საეჭვოა, რომ მისი ექსპლოატაციაში გაშვება ამ წელიწადში მოახდინონ.

ასე რომ, ჩვენი მოსახლეობისათვის, ჩვენი დღევანდელობისა და მომავლისათვის ასე აუცილებელი და საჭირო კომბინატის უკეთეს მომავალს წინ არაფერი არ უნდა დაუდგეს.

ჯ. მანდარია.

რაიონული საბჭოს აღმასკომში

ზამთარი შორს როდია

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი—1990-1991 წლების ზამთრის სეზონისათვის მზადების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

აღმასკომზე აღინიშნა, რომ 1990-1991 წლების თბობის სეზონისათვის მოსამზადებლად მოწოდებულმა წარმოება-დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს. დროულად განაწილდა გამოყოფილი ხე-ტყის ფონდები, გაძლიერდა კონტროლი მათი დამზადებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე. წლეულს რაიონის წარმოება-დაწესებულებებისა და მოსახლეობისათვის გამოყოფილია 4700 კუბური მეტრი შეშა, საიდანაც სახელმწიფო სატყეო მეურნეობას უკვე დამზადებული აქვს სამანქანე გზაზე 1500 კუბური მეტრი, ხოლო საკოლმეურნეო მეურნეობას—900 კუბური მეტრი.

მიუხედავად საწვავის დეფიციტისა, საკმაო რაოდენობით შეშა შეიზიდა სკოლებში, ჯანმრთელობის დაწესებულებებში და სხვა ობიექტებში. შეშა თითქმის შეზიდულია ზუბის, წიფერჩის, ლასურიაშის, ქვედა ცაგერის, ორბელის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებში, ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში, ადგილმრეწველობის კომბინატში, სანეპიდსადგურში, ცაგერის საშუალო სკოლაში, №1 ბაღში და სხვა.

გარკვეული ღონისძიებებია გაწეული რაიონული საავადმყოფოს ხელმძღვანელების მიერ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების ზამთრის სეზონისათვის მზადყოფნის საქმეში. ფონდით გათვალისწინებული 255 ტონა ნახშირიდან შემოზიდულია 200 ტონა. გადაიხურა ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს, უსახელოს საექიმო უბნის შენობები, მიმდინარეობს ორბელის საექიმო უბნის რეკონსტრუქცია, რაიონულ საავადმყოფოში მოწესრიგებულია საქვაბე მეურნეობა და თბოქსელი.

ზამთრის სეზონისათვის რაიოოპერატივის გამგეობის მიერ შეზიდულია და ჩაწყობილია ზამთრის მარაგში 415 ტონა ფქვილი, 20 ტონა ბურღული 50 ტონა შაქარი, 120 ტონა მარილი, 5 ტონა საპონი და 100 ტონა ნავთი.

შეკეთდა ქალაქის ცენტრალური საქვაბე მეურნეობა, რაზეც დახარჯულია 21 ათასი მანეთი, რეკონსტრუქციის სამუშაოები ჩაუტარდა დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 40 ბინიანი სახლის საქვაბე მეურნეობას, რისთვისაც შესრულებულია 20 ათასი მანეთის სამუშაო. ცაგერის მრავალდარგოვანი საბინაო კომუნალური მეურნეობის გაერთიანების მიერ შემოზიდულია 100 ტონა მაზუთი, 40 ტონა ქვანახშირი, 1,5 ტონა დიზელის საწვავი. გადაიხურა ლენინის ქუჩაზე მდებარე 16 ბინიანი, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 40 ბინიანი, ალპანის №1, №2 საცხოვრებელი სახლები. სულ შესრულებულია 60 ათასი მანეთის სამუშაო. დაიდგა ახალი ტრანსფორმატორი, რომელიც ელექტროენერგიით მოამარაგებს დავით აღმაშენებლის №43 მდებარე კომუნალური ბინის მცხოვრებლებს. ნაწილიანად გამოიცვალა სტალინის ქუჩაზე მდებარე ბინების ელექტრო გაყვანილობები.

ამასთანავე აღმასკომზე აღინიშნა, რომ ზამთრის თბობის სეზონისთვის მზადებაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

იმის გამო, რომ საჭირო სარემონტო სამუშაოები ვერ ჩაუტარდა რაიონის სოფლების ელექტრო გადამცემ ხაზებს, წყვეტილობაა მოსალოდნელი ზამთრის სეზონში ელექტროენერგიის მიწოდებაში, რაც მოსახლეობის დიდ გულისტკივილს გამოიწვევს.

ნაკლოვანებებია სათბობით სახალხო განათლების ობიექტების მომარაგებაში. რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი შეშის ფონდიდან მხოლოდ 60 პროცენტამდეა მიზიდული ადგილზე, დღეისთვის საჭირო სათბობის მარაგი არა აქვს ტვიშის, ოყურეშის საშუალო, ჩქუმის, ლუხვანოს, უსახელოს, დეხვირის, ქვედა ცაგერის არასრულ საშუალო სკოლებს, წიფერჩის ბაღს, ცაგერის №2 ბაგა-ბაღს.

ზამთრის თბობის სეზონისათვის წარმოება-დაწესებულებების საწვავით მომარაგების საკითხებზე სუსტად მუშაობენ ღვირიშს, ტვიშის, ალპანის, დეხვირის, ოყურეშის, უსახელოს სასოფლო საბჭოს აღმასკომები. საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ დღემდე არც ერთი კუბური მეტრი შეშა არ არის შეზიდული რაიონულ საავადმყოფოში. აღნიშნული მდგომარეობა იმითაც არის გამოწვეული, რომ სახელმწიფო სატყეო და საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობების, ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ რაიონის სკოლებში და საწარმო-დაწესებულებებში შეშისა და ქვანახშირის შესაზიდად ტრანსპორტის გამოყოფის საკითხებს. ფაქტიურად არ დაწყებულა სახალხო განათლების სისტემაში, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის ობიექტებში ქვანახშირის შეზიდვა.

არადამაკმაყოფილებელია ცაგერის გაზის სამმართველოს მუშაობა თხევადი გაზით მოსახლეობის მომარაგებაში. თითქმის რეალობად იქცა მათგან სოფლებზე გაზის თვეობით მიუწოდებლობა, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

რაიონული საბჭოს აღმასკომმა დაავალა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, სახელმწიფო და საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობების, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, სახალხო განათლების განყოფილების, რაიკოოპერატივის ხელმძღვანელებს, რაიონისა და რაისაავადმყოფოს მთავარ ექიმს მიიღონ სასწრაფო ზომები ზამთრის სეზონისათვის მზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაევალათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სათბობის და ელექტროენერგიის ყაირათიანად გამოყენებისათვის.

საქართველოში

ინებეთ ქუთაისური ტრიკოტაჟი

ჩაკეტილი ტექნოლოგიური ციკლით, რომელსაც ელექტრონული გამომთვლელი მანქანა მართავს, შეუდგა მუშაობას ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა. მის შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს ახალი ხაზი, რომელიც დაკომპლექტებულია საქსოვი, საკერავი და გამოსაყვანი მანქანებით.

საწარმომ კურსი აიღო პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების გზით. სამეურნეო ანგარიშის პირობებში ეს ერთადერთი შესაძლებლობაა, რათა კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნოს.

ლითონის ჯართი —მარტენს

საწარმოებსა და სხვადასხვა მეურნეობებში მკვდარ კაპიტალად დევს დიდი რაოდენობის გამოუსადეგარი და დაძველებული მოწყობილობა, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, გაცვეთილი ინსტრუმენტები. იგი უნდა ჩამოიწეროს ჯართად, მაგრამ ხელმძღვანელები არ აქცევენ ამას ჯეროვან ყურადღებას, რაც ყოვლად დაუშვებელია.

დასახულია, რომ 1990-1993 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცეს ლითონის ჯართის მოსამზადებელი და გადამმუშავებელი საწარმოო სიმძლავრეები სენაკში, ზესტაფონის რაიონში, აგრეთვე რეკონსტრუქცია გაუკეთდეს საამქროს სამტრედიაში.

გლეხური მეურნეობა: პირველი ნაბიჯები

მომავლის მეტი იმედით

ხვავიან-ბარაქიანია წლევანდელი შემოდგომა ლეჩხუმში. მერედა რაოდენ საჭიროა ჩვენი ერის, ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი ეკონომიკისათვის სიუხვე და მშრომელი კაცის გარჯილობა.

ბედნიერია მუშა კაცი, შრომას ამაოდ არ ჩაუვლია, თეთრი, ქათქათა სიმინდის ტაროებით ივსება ნალია, მამა-პაპისეულ საწნახელში ყურძენი იჭყლიტება.

აგრარულმა რეფორმამ, მიწასთან ურთიერთობის ხელსაყრელი ფორმების დანერგვამ ქალაქში გაქცეულებიც კი შემოაბრუნა სოფლისკენ, თორემ სოფლად დარჩენილებს რა დაათმობინებს მიწას.

სოფელს ახლა ყველაზე მეტად სჭირდება მიხედვა, ზრუნვა და თანადგომა. სწორედ ზრუნვამ, სოფლის სოციალური პრობლემების მოგვარებამ განაპირობა, რომ რაიონის სხვა სოფლებთან შედარებით ხალხმრავალია ზუბი. კაცის გარეშე არც მშვენება აქვს და არც სილამაზე სოფელს. ახალი საშუალო სკოლა, კეთილმოწყობილი გზა, პურსაცხობი, სამედიცინო მომსახურებისა და სატელეფონო კავშირის გაუმჯობესებისთვის ზრუნვა ხალხმრავალს ხდის მას.

გიგლა ბენიძე, 50 წელს გადაცილებული კაცი ამ სოფელში გაზრდილ-დაბადებულია, რომელსაც სოფლიდან წასვლაზე, მამისეული კერის მიტოვება-გაუკაცრიელებაზე არასდროს უფიქრია და არც არაფერი წაუგია. სანაქებო ოჯახი აქვს. სამი შვილის —ორი ქალიშვილისა და ერთი ვაჟიშვილის მამაა. შვილებსაც მშობლიურისადმი სიყვარულის მადლი ამოძრავებთ და უკეთესად, დიახ, გაცილებით უფრო კარგად ცხოვრობენ, ვიდრე სოფლიდან გაქცეული, ქალაქზე ფანატიკურად შეყვარებული ბევრი მათი თანასოფელი.

ცხაკურში გაჭირხეულად მოვლილი ზვარი შემოდგომის ამ დღეებში ქარვისფერი მტევნებითაა დატვირთული და მისი მარჯვენის წყალობამ ერთბაშად გაფანტა მიწის უვარგისობის ის ილუზია, ცხაკურში ერთ დროს დიდი ენთუზიაზმით გაშენებული ზვარის მომვლელებს რომ დაეუფლათ. სულ ცოტა 2,5 ტონა ყურძენს მაინც მოიწევს გიგლა ბენიძე, 0,25 ჰექტარი სასიმინდე ნაკვეთი აქვს მოსავლელად, ერთი იმდენი, 0,5 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი აქვს. ოჯახის დედა, გიგლას მეუღლე, ქალბატონი გუგული საუკეთესო მეაბრეშუმეა.

გიგლა ბენიძე—მოწინავე მევენახე, მესიმინდე, კარგი მამა და მეუღლე, სოფელში საჭირო ხელობის კაცია. კბილის ტექნიკოსს, მადლიანი ხელების პატრონს, ვინ მოთვლის უსიამოვნო განცდით მოსული რამდენი თანასოფელი გაუგზავნია უკან იმედით სავსე და ხალისიანი.

ცხოვრობს სოფელში ბედნიერი, თავისი შრომით ნასიამოვნები კაცი და იმედიანი თვალით გაჰყურებს მომავალს.

წელს სოფლის მშრომელთა გარჯა დაფასდა, კარგი მოსავალი მოვიდა. ბუნებამ მოუწყო ხელი მეურნე და მიწის მოყვარულ კაცს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ გლეხურ მეურნეობაზე გადავიდა კოლმეურნეობები. ყოველი ოჯახი, რომელსაც კუთვნილი ნაკვეთი მემკვიდრეობით უფლებაში გადაეცა და სათანადო საზღაურს გადაუხდის სახელმწიფოს, გულიანად, ინტერესით მიუდგა საქმეს.

თუმც წიფერჩელი ნიკო თუთისანი არასოდეს ყოფილა გულგრილი საზოგადოებრივი შრომისადმი, მიუხედავად მცირე ანაზღაურებისა, ყოველთვის პირველობდა. ეს კაცურ-კაცობისა და ღირსების, სოფლის სიყვარულის საქმედ მიაჩნდა. ყურძენსაც გეგმაზე ორჯერ მეტს იწევდა და სიმინდსაც, თიბვაშიც აქტიური იყო და ყველა უბანზე.

კოლმეურნეობაში რომ კრება ჩატარდა და გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის გადაწყვეტილება მიიღეს, თავისი აქაც თქვა. აღნიშნა, სოფელმა ისეთი კომისია

ალალი იყოს

უნდა გამოყოს, ობიექტურად შეისწავლოს ყოველივე, ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს ყოველ ოჯახს, ნაკვეთსაც კი, მაქსიმალურად შევეცადოთ გული არ ვატკინოთო ვინმეს.

ახლა შემოდგომაა და მოწეული მოსავალი გლეხის ნალია-მარანს ემატება. ალალი იყოს! ნიკო თუთისანი შვილივით ნაფერებ ბარაქიან ზვარში რომ სართვლოდ შევიდა, კიდევ ერთხელ შეფიქრიანდა: ნუთუ ეს მართლა მე მეკუთვნისო მთლიანად? აიღო ყანა, ყურძენი კი სახელმწიფო მარანს საკუთარ ანგარიშზე ჩააბარა.

ხვავიანი შემოდგომა დაიყენა მეურნე კაცმა. გაისად, მერმისად მეტს მიიღებს. ამის საფუძველია ის, რომ მიწა მიწის პატრონს დაუბრუნდა.

მ. გურული.

ჩვენი დემოგრაფიული პორტრეტი

მოსახლეობა საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალაა, მის გარეშე შეუძლებელია თვითწარმოება, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება და ფუნქციონირება, ამავე დროს მოსახლეობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, ტრანსპორტის, სხვადასხვა სახეობის მომსახურების მთავარი მომხმარებელია. ამიტომ მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვანი ფაქტორია თითოეული ქვეყნისათვის.

პირველყოფილი თემური, აგრეთვე მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების დროს მოსახლეობა მეტად ნელა იზრდებოდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ადამიანი დიდად იყო დამოკიდებული ბუნებაზე, დაბალი იყო წარმოების დონე, ხშირი იყო ომები, ეპიდემიები, შიმშილი. მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაიწყო დედამიწის მოსახლეობამ სწრაფი ზრდა. იგი განსაკუთრებით სწრაფად იზრდება მე-20 საუკუნეში. თუ მიმდინარე საუკუნის დამდეგს დედამიწის მოსახლეობა იზრდებოდა წელიწადში 10 მილიონი კაცით, საუკუნის შუა ხანებში—36-40 მილიონით, ამ უამად ის ყოველწლიურად იზრდება დაახლოებით 90-95 მილიონით. 1975 წელს დედამიწის მოსახლეობამ მიაღწია 4 მილიარდ კაცს, 1979 წელს 4,5 მილიარდს გადააჭარბა, ხოლო 2000 წლისათვის იგი 6 მილიარდს გადააჭარბებს. მოსახლეობის რაოდენობის ასეთ მკვეთრ ზრდას ხშირად დემოგრაფიულ „აფეთქებას" უწოდებენ. მოსახლეობის აჩქარებული ზრდა, ბოლო ათწლეულში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მსოფლიო პრობლემად იქცა, რომელთანაც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია დედამიწის მზარდი მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათითა და სამუშაოთი, აგრეთვე ბუნებრივი გარემოს დაცვა და გონივრული გამოყენება.

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს, მათ შორის ლეჩხუმლებს, რთულ პირობებში უხდებოდა ცხოვრება, რაც, პირველ რიგში, უარყოფითად მოქმედებდა მოსახლეობის რაოდენობაზე. განსაკუთრებით მძიმე იყო ამ მხრივ ერთიანი, მძლავრი ფეოდალური ქართული სახელმწიფოს ცალკე სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდგომი პერიოდი, რაც მე-13 საუკუნიდან დაიწყო და ხუთ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. გარეშე მტრების გამუდმებული შემოსევებისა და შინაფეოდალური აშლილობის გამო აღნიშნულ პერიოდში მცხოვრებთა რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 785 ათას კაცს შეადგენდა (რესპუბლიკის დღევანდელ საზღვრებში).

ლეჩხუმში ადამიანის ცხოვრების კვალი ნეოლითიდანაა დამოწმებული. არქეოლოგიური მონაპოვრებით ძალზე კარგადაა წარმოდგენილი გვიანი ბრინჯაოს ხანა. ლეჩხუმი მჭიდროდ დასახლებული ჩანს ანტიკურ წყაროებში. იგი მოხსენებული აქვს პროკოფი კესარიელს (მე-6ს) სკვიმნიას სახელწოდებით. მოსახლეობის აღწერის და რაოდენობის შესახებ მე-13 საუკუნემდე წყაროებში, ჩვენი აზრით, არაფერია ნათქვამი.

მონღოლთა მიერ ჩატარებული აღწერის ცნობების საფუძველზე, არაპირდაპირი გზით გამოანგარიშების მიხედვით მე-13 საუკუნეის ლეჩხუმში დაახლოებით ყოფილა 4050 კომლი. თუ ჩავთვლით, რომ საშუალოდ კომლში 5 სული ცხოვრობდა (იმ პერიოდისათვის ასე იყო მიჩნეული), მაშინ იმ დროს ლეჩხუმში 20-25 ათასი კაცი ყოფილა.

როგორც ზემოთ ითქვა, მე-13 საუკუნიდან მნიშვნელოვნად მცირდება მოსახლეობის რიცხვი მთელ საქართველოში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ლეჩხუმი, სადაც პროფესორ კაკაბაძის გაანგარიშებით მე-16 საუკუნის შუა წლებშიც კომლთა რაოდენობა დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც მე-13 საუკუნეში იყო.

ხელშესახები ცნობები მოიპოვება მე-18 საუკუნის მე-2 ნახევრის ლეჩხუმის მოსახლეობის შესახებ. რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის იანოვსკის ცნობით სამეგრელოს სამთავროში 1770 წელს 100 ათასი სული ცხოვრობდა. მათგან სალაშქროდ გამოდიოდა 6 ათასი მეომარი. ამათგან 2 ათასი ლეჩხუმიდან ყოფილა (ლეჩხუმი იმ დროს სამეგრელოს სამთავროში შედიოდა). ე. ი. სამეგრელოს ლაშქრის ერთი მესამედი დაახლოებით 20-25 ათასი მცხოვრებიდან. ამასვე ადასტურებს მოგზაური გულდენშტედტი. ის აღნიშნავს, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ლეჩხუმში დაახლოებით ყოფილა 4000 კომლი.

მე-19 საუკუნეში გარეშე მტრების შემოსევის შეწყვეტამ და ეკონომიური მდგომარეობის გარკვეულად გაუმჯობესებამ, როგორც საერთოდ, ჩვენთანაც ხელი შეუწყო მოსახლეობის ბუნებრივ მატებას. ხელთა გვაქვს 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მასალები. ამ დროს ლეჩხუმის მაზრაში შედიოდა სვანეთი. სულ მაზრაში ცხოვრობდა 47779 მცხოვრები. აქედან ლეჩხუმელი—31806, სვანი—15359, ებრაელი—441, რუსი—28, სომეხი—91, თათარი—7, ოსი—9, ქურთი—6, დანარჩენი—10.

ზემოთ მოტანილი მონაცემებით კარგად ჩანს ლეჩხუმის მოსახლეობის სტაბილურობა მე-13 საუკუნიდან ვიდრე მე-19 საუკუნის დამდეგამდე, რასაც ხელი შეუწყო ამ კუთხის გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ლეჩხუმი ძნელად მისასვლელი მხარე იყო და ამდენად ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად განიცდიდა მტრისაგან რბევას, ამასთან უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ძნელმბედობის დროს ბარის მოსახლეობა თავს აფარებდა ლეჩხუმს და ფუძნდებოდა აქ. ამის გამო ლეჩხუმის მოსახლეობის რიცხვი არ იკლებდა.

მე-19 საუკუნის მანძილზე და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობა მატულობდა, როგორც ბუნებრივი გამრავლების, ისე მცხოვრებთა გარედან შემოსვლის შედეგად.

1900 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებით ლეჩხუმის მაზრაში, რომელშიც ზემო და ქვემო სვანეთი შედიოდა, სულ ცხოვრობდა 51643 მცხოვრები. მაზრა დაყოფილი იყო საბოქაულოებად 1. ალპანის საბოქაულო (ცენტრი აჭარა), რომელშიც იმ დრო ცხოვრობდა 20431 კაცი. ალპანის საბოქაულო მოიცავდა სოფლის საზოგადოებებს: ალპანის—2329 კაცით, დერჩის—4986 კაცით, დეხვირის—2932 კაცით, ნაკურალეშის—3643 კაცით, ჭყვიშის—2935 კაცით.

2. ცაგერის საბოქაულო (ცენტრი ცაგერი) 19521 მცხოვრებით, მასში შედიოდა სოფლის საზოგადოებები: ცაგერი—4244 მცხოვრებით, ზუბი—3220 მცხოვრებით, ოყურეში—2931 მცხოვრებით, ლაშხეთი—2613 მცხოვრებით, ლენტეხი—2243 მცხოვრებით, ლენტეხი—2243 მცხოვრებით, ორბელი—3224 მცხოვრებით, ჩოლური—1046 მცხოვრებით.

მასალებიდან ირკვევა, რომ 1900 წელს ლეჩხუმის მაზრაში 51643 მცხოვრებიდან საკუთრივ ლეჩხუმის ტერიტორიაზე, ე. ი. დიდ ლეჩხუმში, ჭყვიშის და დერჩის საზოგადოების ჩათვლით, ცხოვრობდა 34050 მცხოვრები, ზემო და ქვემო სვანეთში 17593 მცხოვრები. დღევანდელი ლეჩხუმის საზღვრებში კი იმ დროისათვის ცხოვრობდა 28188 მცხოვრები.

სხვაობას შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტების შორის, შობადობის სასარგებლოდ, ბუნებრივი მატება ეწოდება. მით უფრო მაღალია ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, რაც უფრო დიდია პირველი მეორეზე. ცხოვრების მატერიალური პირობების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების შედეგად ჩვენი საუკუნის მანძილზე მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობის კოეფიციენტი მსოფლიოს მთელ მოსახლეობაში, და ჩვენთანაც. ამასთან ინდუსტრიალიზაციამ, საქალაქო ცხოვრებამ და ქალის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმამ გამოიწვია შობადობის კოეფიციენტის შემცირებაც. მაგრამ ბევრად უფრო სწრაფად მცირდებოდა სიკვდილიანობა, ამიტომ საერთოდ გაიზარდა მათ შორის სხვაობა, ანუ მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი. 1960-იან წლებამდე ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ საქართველოშიც ბუნებრივი მატების პროცესი საკმაო მაღალ დონეზე იყო. 1921 წელს საქართველოს მოსახლეობა იყო 2,4 მილიონი ე. ი. 120 წლის მანძილზე მცხოვრებთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა. 1979 წლის იანვრის აღწერით პირველად თავისი არსებობის პერიოდში საქართველოს მოსახლეობამ 5 მილიონს გადააჭარბა.

1989 წლის აღწერით 5 მილიონ 434 ათასია, რაც სსრ კავშირის მოსახლეობის 2 პროცენტს შეადგენს. ე. ი. საქართველოს მოსახლეობამ გარკვეულად მოიმატა. ამას ვერ ვიტყვით საქართველოს მაღალმთიან რაიონებზე და მათ შორის ლეჩხუმზე. ამ პატარა რაიონიდან 7000-ზე მეტი ახლადდაქორწინებული თუ დაქორწინებელი ვაუკაცის დიდ სამამულო ომში გაწვევამ, რომელთაგან ნახევარზე მეტი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას, ბენებრივ ნამატზე დამღუპველი გავლენა მოახდინა.

დ. კოპალიანი,
განათლების განყოფილების გამგე.
(დასასრული იქნება).

ექიმი გვირჩევს

თავიდან აცილება შეიძლება

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა წარმოადგენს დღეს-დღეობით უხშირეს და უმძიმეს დაავადებას ნერვიულ დაავადებათა შორის.

დროული და რაციონალური დიაგნოსტიკა არა მარტო აუცილებელია ავადმყოფის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, არამედ მნიშვნელოვნად ამცირებს მძიმე ნარჩენ მოვლენებს და უნარჩუნებს ავადმყოფებს შრომისუნარს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დროული დახმარების აღმოჩენას თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის გარდამავალი მოშლის დროს.

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის გარდამავალი მოშლის დიაგნოზი ისმება იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფს ძირითადი სისხლძარღვოვანი დაავადების (ათეროსკლეროზი, არტერიული ჰიპერტონია, ვასკულიტი) ფონზე სწრაფად უვითარდება კეროვანი ან ზოგადტვინოვანი სიმპტომები, რომელიც გრძელდება მოკლე დროით, არა უმეტეს 24 საათისა.

გარდამავალი სისხლის მიმოქცევის მოშლის დროს ავადმყოფები უჩივიან მეტყველების გაძნელებას, სისუსტეს ერთ ან ორ კიდურში, თავბრუხვევას, თავის ტკივილს, წონასწორობის დაკარგვას.

აღნიშნული მოვლენების განვითარებისთანავე ავადმყოფი უნდა დაწვეს და გამოიძახოს ექიმი.

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა ანუ ინსულტი არის ორი სახის—ჰემორაგიული და იშემიური.

ჰემორაგიული ინსულტი უფრო ხშირად ვითარდება მაღალი არტერიული წნევის დროს. დაავადება ვითარდება უეცრად აქტიური საქმიანობის დროს და განიცდის სწრაფ პროგრესირებას.

იშემიური ინსულატი ანუ ტვინის ინფარქტი იწყება თანდათანობით, უმეტესად ძილში, გულსისხლძარღვთა სისტემის მოქმედების შესუსტების დროს, უვითარდებათ უმეტესად იმ ავადმყოფებს, რომლებიც დაავადებულნი არიან ათეროსკლეროზით, გულის მანკით, მოციმციმე არითმიით. იშემიური ინსულტის დროს ცნობიერება შენახულია, ზოგადტვინოვანი სიმპტომები ნაკლებად არის გამოხატული, უპირატესად სჭარბობს ნერვიული სისტემის კეროვანი დაზიანების ნიშნები.

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის თავიდან აცილება შეიძლება, თუ დროულად, პირველი ჩივილების გამოვლენისთანავე მივმართავთ ექიმს და ჩავატარებთ დროულ მკურნალობას.

თუ ხშირად, კვირაში 2-ჯერ გაწუხებთ თავისტკივილი, თავბრუხვევა, შუილი თავში, მეხსიერების მნიშვნელოვანი მოშლა, შრომის უნარის დაქვეითება, დროულად უნდა მიმართოთ ექიმს.

მ. სილაგაძე,
ცაგერის რაიონული საავადმყოფოს ექიმი-ნევროპათოლოგი.

---

11 ნოემბერი დასვენების დღეა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონის შესაბამისად და 1990 წლის 11 ნოემბერს უზენაესი საბჭოს არჩევნების მეორე ტურის ჩატარებასთან დაკავშირებით, ეს დღე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დატოვებულია არასამუშაო დღედ.

საინფორმაციო სააგენტო საქართველო.

ერიდეთ ამბროზიას

ყველგან იმრავლა სარეველა მცენარეებმა. მათ შორის აღსანიშნავია ამბროზია. მას ვხვდებით ყველგან: საცხოვრებელი ბინების ირგვლივ, ბაღებში, გზისპირებზე. ამბროზიას აქვს დატოტვილი ღერო და მორიგეობით ან მოპირისპირედ განლაგებული ფოთლები. ასარევლიანებს თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, აშრობს და ფიტავს ნიადაგს.

ამბროზია ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიშია ყვავილობის პერიოდში, რომელიც დაიწყება ჩვენთან სექტემბრიდან და გრძელდება ოქტომბრის ბოლომდე. ერთ-ერთი დაავადება, რომელსაც იწვევს ამბროზიის მტვერი, არის პოლინოზი. მას უწოდებენ კიდევ: „თივის ცხელებას“, „თივის სურდოს“, „გაზაფხულის კატარს“, „მტვრისმიერ ბრონქულ ასთმას“.

პოლინოზი (ლათინური სიტყვაა, ნიშნავს მცენარის მტვერს) გავრცელებული ალერგიული დაავადებაა, რომელსაც იწვევს მცენარეების, განსაკუთრებით მარცვლოვანი ბალახებისა და ყვავილის მტვერი. იგი გამოვლინდება დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციის სახით იმ პირებში, რომლებსაც აქვთ აწეული მგრძნობელობა მცენარეებისა და ბალახების მტვრის მიმართ. მაგალითად, ოთახის მტვრის, ეპიდერმალური, ინფექციური, სოკოვანი ალერგენების მიმართ. ამ დროს ალერგიული რეაქციები გამოვლინდება მთელი წლის განმავლობაში.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ქალაქის მოსახლეობა უფრო ავადდება პოლინოზით, ვიდრე სოფლის მცხოვრებნი, მიუხედავად იმისა, რომ მცენარეების მტვერი ნაკლებია ქალაქის ჰაერში. ეს იმიტომ, რომ ქალაქის მცხოვრებნი სუნთქავენ ჰაერს, რომელიც გაბინძურებულია მანქანების გამონაბოლქვით, სხვადასხვა ქიმიური ნარჩენებით და ყოველივე ეს იწვევს ლორწოვანი გარსის ქრონიკულ ანთებას, მთელი დაავადების 58 პროცენტი გონებრივ მომუშავეებზე, ხოლო 2 პროცენტი სოფლის მეურნეობის მუშაკებზე მოდის.

ავადმყოფი უჩივის ქუთუთოების ქავილს და სიწითლეს, თვალებში ქვიშის შეგრძნებას, სინათლის შიშს, ცრემლდენას, პროფუზულ სურდოს. ყოველივე ამას ემატება მტანჯავი განმეორებადი ცხვირის ცემინება, ძლიერი თავის ტკივილი, ცხელება, ასთმური შეტევები, შეიძლება შეინიშნებოდეს დისპეფსიური მოვლენები: ჭვალისმაგვარი ტკივილები მუცლის არეში, ღებინება, კანის ქავილი, ჭინჭრის ციება.

პოლინოზი გვხვდება ყველა ასაკში, ჩვილებშიც კი. ყველაზე ხშირად დაავადება იწყება სქესობრივი მომწიფების პერიოდის შემდეგ.

პოლინოზით დაავადებული უნდა ერიდოს კონტაქტს იმ მცენარეების მტვერთან, რომლითაც მათი ორგანიზმი არის სენსიბილიზირებული, დაავადების გამომწვევი მცენარის ყვავილობის დროს უნდა გავიდეს სხვა რაიონში, სადაც ეს მცენარე არ ყვავილობს. თუ ამის საშუალება არ არის, ავადმყოფი უნდა ერიდოს ქუჩაში სიარულს, უმეტესად დილის საათებში, როდესაც მცენარეული მტვერი ჰაერში დიდი რაოდენობითაა. მზიან ამინდში უნდა იაროს მზის სათვალეებით, რომ არ გაღიზიანდეს თვალის ლორწოვანი გარსი, ცხვირზე კი აიფაროს სველი ცხვირსახოცი.

სასურველია, მშრალ ამინდში ავადმყოფმა დღის უმეტესი დრო გაატაროს სახლში. საძინებელი ოთახი ... უნდა განიავდეს ... მწვავების პერიოდში ეკრძალება თაფლის მიღება, რადგან ის შეიცავს 10 პროცენტ მცენარის მტვერს.

პოლინოზის დადგენა ზოგჯერ დიდი ხნის განმავლობაში არ ხერხდება, რადგან ავადმყოფთა უმრავლესობა აღნიშნულ სიმპტომებს მიიჩნევს უბრალო სურდოდ, მწვავე რესპირატორულ დაავადებად, ჰაიმორიტად, ინფექციურ რინიტად, რის გამოც დაავადება 2-4 წელიწადში შეიძლება გადაიზარდოს ბრონქიალურ ასთმაში, ამიტომ აღნიშნული მოვლენების შემჩნევისთანავე მიმართეთ ექიმს. დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობა შეიძლება მხოლოდ ალერგოლოგიური მეთოდებით.

გამოიწერეთ „ლეჩხუმი“

დაიწყო და 15 ნოემბრამდე გასტანს ხელმოწერა პერიოდულ გამოცემებზე 1990 წლისათვის.

ძვირფასო მკითხველო! ხელმოწერა წარმოებს ჩვენს რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე“. ხელმოწერები მიიღება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე „სოიუზპეჩატის“ რაიონულ განყოფილებასა და კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის სოფლის საფოსტო განყოფილებებში ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 20 საათამდე.

გაზეთი ერთი წლით ღირს 7 მანეთი და 80 კაპიკი, 6 თვით—3 მანეთი და 90 კაპიკი, 3 თვით—ერთი მანეთი და 95 კაპიკი.

ინტერესთა კლუბი

ასე მოვრწყოთ ოთახის მცენარეები

თუ მცენარე დიდი ზომის ქოთანშია ჩარგული და კარგადაა განვითარებული, შეიძლება მოირწყას დაახლოებით კვირაში ერთხელ. პატარა ქოთანში მოთავსებული ახალგაზრდა ეგზემპლარი ყოველდღე უნდა მორწყოთ. რაც უფრო თბილა ოთახში, მით უფრო ხშირად უნდა მოირწყას ყვავილი. გაზაფხულსა და ზაფხულში მცენარეს უფრო ინტენსიურად რწყავენ, ზამთარში კი ბევრი სახეობა შეიძლება გავაჩეროთ დაბალ ტემპერატურაზე და იშვიათად მოვრწყათ. ეს ეხება ასწლოვანებს—ალოეს, აგავეს და სხვა. სარწყავი წყალი ერთ დღე-ღამით უნდა გავაჩეროთ ოთახში. ცივი წყლით მორწყვა ხელს უწყობს ფესვების გადაცივებას და დალპობას. მორწყვის დროს ეცადეთ წყალი არ მოხვდეს ფოთლებსა და ღეროებზე. ნიადაგი უნდა კარგად გაიჟღინთოს. სასარგებლოა ყვავილის მორწყვა წვიმის ან თოვლის წყლით. შეიძლება გამოიყენოთ მაცივრის საყინულის გადნობის შემდეგ მიღებული წყალი. არ დაგავიწყდეთ „მშრალი მორწყვაც“ მიწის რეგულარული გაფხვიერება.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

გილოცავთ

ჩვენო საყვარელო ლენა!

გილოცავთ დაბადების დღეს. იყავ დღეგრძელი, ბედნიერი, ლამაზი და სულ ასე ხალისიანი.

აკაკი, გერონტი, რომან, გიზო, ნანი, ავთო კალანდაძეები.

სევარიონ მიხეილის ძე კოპალიანს

გილოცავთ 80 წლის შესრულებას. თქვენი დღეგრძელობა იყოს შვილებისა და შვილიშვილების, თქვენი დიდი მონაგარის სასიკეთოდ.

უახლოესი მეზობლები: დესნა სილაგაძე, გრიშა, ზაურ სალინაძეები, ანზორ ტვილდიანი, კარლო, დემურ ჩაკვეტაძეები, სოზარ, თამაზ ბენდელიანები, მურთაზ ჩარკვიანი, ბორის, დათო ხეცურიანები, შოთა კოპალიანი, მიშა ფოჩხიძე, ნუშარ ხვადაგიანი, გივი ბენდელიანი.

მერი, გურამ ბერიძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლები.

დედა ლუბა, მეუღლე გულო, შვილები მამუკა, ლეილა, დები ნორა, ვენერა, რძალი ზაირა ცერცვაძე, სიძეები ნოდარ გვიშიანი, კარლო ფრუიძე, ნუკრი ვერძეული, შვილიშვილები დათო, ირაკლი, ბიძები ბიქტორ, ვალიკო ბურჯალიანები, ვალიკო ყურაშვილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დისშვილები, ცოლისდა, ცოლისდიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსანდრეს ძე ბურჯალიანი

დაკრძალვა 10 ნოემბერს, შაბათს, სოფ. ორბელში.

რაიკოოპერატივის სავაჭრო ქსელის მუშაკები თანაუგრძნობენ თინა ჯიქიას ძმის

ელგუჯა ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს რომან მუშკუდიანს დედის

მარო გორდულაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის მუშაკები თანაუგრძნობენ ბაბუცა ბაქრაძეს

ლუბა ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს კობა ჩარკვიანს ბებიის

ლუბა ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო.

სემინარ, ჯონი, თინა ბურჯალიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსანდრეს ძე ბურჯალიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ გერონტი თუთისანს ძმის

გრიშა თუთისანის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები: დესნა სილაგაძე, გრიშა, ზაურ სალინაძეები, ანზორ ტვილდიანი, კარლო, დემურ ჩაკვეტაძეები, მურთაზ ჩარკვიანი, ბორის, დათო ხეცურიანები, შოთა ვალიკოს ძე კოპალიანი, სევარიონ, შოთა კოპალიანები, მიშა ფოჩხიძე, ნუშარ ხვადაგიანი, გივი ბენდელიანი თანაუგრძნობენ გოგუცა, თამაზ, სოზარ ბენდელიანებს სიძისა და ბიძის

დავით ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის მხარეთმცოდნეობის და დიდების მუზეუმების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნუცა მამარდაშვილს დის

დაშა მამარდაშვილის

გარდაცვალების გამო.

ანზორ აჭვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნორა და ნოდარ გვიშიანებს ძმისა და ცოლისძმის

დავით ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

სოზარ, თამაზ ბენდელიანები, დემურ ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსანდრეს ძე ბურჯალიანი.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-81, რედაქტორის მოადგილის — 22-85, პასუხისმგებელი მდივნის—22-87, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-86, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43 სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4488

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.